

ქართული ეკონომიკის “იელოვიზაცია”

გაზეთი “საერთო გაზეთი” – 14 ოქტომბერი, № 39, 2009

სულ რამდენიმე დღეა ქვეყნის პრეზიდენტმა პარლამენტს შესთავაზა „ეკონომიკური თავისუფლების აქტი“, რომელიც ახლო მომავალში კანონში ცვლილებების მიღებას ითვალისწინებს. პროექტი მთავრობას ჯერ არ წარმოუდგენია, მაგრამ უკვე წინასწარ ბევრი პროფესიონალი ეკონომისტებისა და ექსპერტებისთვის, ის ცოტა არ იყოს გაუგებარი გახდა. გაუგებარი იმდენად, რამდენადაც მასში სიახლე ან ცვლილება ვერ დაინახეს.

ვესაუბრებით ეკონომიკური მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ლადო პაპავას:

– ბატონი ლადო, რას გეთავაზობს ეს „ეკონომიკური თავისუფლების აქტი“?

– ამ აქტში არის გარკვეული წინადადებები, რომელიც წარმოადგენს ე.წ. „ღია კარის მტვრევას“, ანუ ესენი უკვე დიდი ხანია საქართველოში გადაჭრილია და ისინი დღეს არ წარმოადგენს განხილვის სფეროს. ამიტომ ეს ინიციატივადაც კი არ ჩაითვლება. ასევე ავიღოთ თუნდაც ლარის კონვერტაცია. პირველივე დღიდან, როდესაც ქვეყანაში ლარი შემოვიდა, ანუ 14 წლის წინ, მაშინვე ითქვა, რომ ლარი არის კონვენტირებადი. უფრო მეტიც, 1997 წელს საქართველო შეუერთდა საერთაშორისო სავალიუტო ფონდის შეტანხმების მე-8 პუნქტს, რომლის თანახმადაც ჩვენ ვაღიარებთ, რომ ლარის კონვერტაცია, არ შეიზღუდება, ხოლო 1999 წლიდან ვართ, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი, რომლის წევრობაც ასევე გვაავალდებულებს, იმას, რომ ლარის კონვერტაცია არ შეიზღუდოს. საერთაშორისო ხელშეკრულებები კი ქვეყნის კანონმდებლობაზე მაღლა დგას. ამიტომ ჩვენ რომც მოგვედომებინა, ამ ხელშეკრულებების საფუძველზე ლარის კონვერტაციას ვერ შევზღუდავდით – აქედან გამომდინარე, თუ ეს ასე იყო აქამდეც – რა ინიციატივაა ეს ახლა? რაიმე სიახლეა?

– იმას ამბობენ. რომ ახლა მოდით, ეს კონსტიტუციაში ჩავწეროთ?

–ამის ჩაწერას აზრი არა აქვს, იმიტომ, რომ საერთაშორისო ვალდებულებები გვაქვს, და ამას ისედაც ასე ვაკეთებთ. ლარი ვერ გახდებოდა ვალუტა, რომ არ გაცვლილიყო ამერიკულ დოლარსა თუ სხვა სხვა რომელიმე ფულზე. ეს ასეც არ იყო.

–ფასების გათავისუფლებაზე რას იტყვით?

–უკვე 13 წელია ფასები თავისუფალია, ბოლოს გათავისუფლდა პურის ფასები 1996 წელს. 1999 წლიდან ჩვენ, როგორც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყანა ვალდებულება გვაქვს, რომ ფასებს ვეღარ შევზღუდავთ! იმიტომ ბუნებრივია ჩნდება კითხვა, თუ 13 წელია ამ რეჟიმით ვცხოვრობთ, რა საჭიროა მისი კონსტიტუციაში გადატანა? ასევე 13 წელია ქვეყანაში მოქმედებს კანონი ინვესტიციების შესახებ, რომლის თანახმადაც ინვესტორს უფლება აქვს მოგების რეპატრიაციისა, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, ესეც, 13 წელია ასეა. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობა ამას გვავალდებულებს, ამას დღეს ვერ შევზღუდავთ, მაშინ რა საჭიროა მისი კონსტიტუციაში ჩაწერა? გაუგებარია... შემძლია ერთი დასკვნა გავაკეთოთ მხოლოდ, რომ არც ერთი ეს ინიციატივა, არაფერი ახალს არ იძლევა! იმიტომ ვეძახი მე ამას – „ღია კარის მტვრევას!“

–ბანკებთან დაკავშირებით რომ ითქვას, სახელმწიფოს წილი მასში არ უნდა იყოსო, ამაზე რას იტყვით?

–რა თქმა უნდა, არ უნდა იყოს ბანკებში სახელმწიფოს წილი, მაგრამ როგორი ჩანაწერი გაკეთდება კონსტიტუციაში, საქართველოს სახელმწიფოს წილი არ უნდა იყოს თუ ნებისმიერი სახელმწიფოსი? ქართულ სახელმწიფოს ბანკებში წილი ისედაც არა აქვს, მაგრამ ქართულ საბანკო რეალობასი არის ორი ბანკი, რომელიც არის სახელმწიფო ბანკი, მაგალითად, VTB „ვითიბი“ – ეს არის რუსეთის სახელმწიფო ბანკი, ასევე აქ არის „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი“ – ეს არის აზერბაიჯანული სახელმწიფოს ბანკი. მაშინ რა გამოდის, რომ ქართული სახელმწიფოს არ აქვს უფლება? ანუ ის, დისკრიმინაციულ მდგომარეობაში იმყოფება? ან ის ბანკები უნდა გავაგდოთ აქედან? – ეს ყველაფერი გაუგებარია!

–სააკაშვილმა თავის მოხსენებაში ისიც თქვა, რომ ახალი რეგულაციები არ უნდა შემოვიდეს ეკონომიკაში, ეს რას ნიშნავს?

–ეს არის სიგნალი იმისა, რომ საქართველო უარს ამბობს ევროინტეგრაციაზე! ევროპის ბაზარი არის რეგულირებული ბაზარი. თუ ჩვენ ამას კონსტიტუციაში ჩავდებთ, როგორც ახლა სურთ, ეს იმას ნიშნავს, რომ კონსტიტუციურად უარს ვამბობთ ევროკავშირთან დაახლოებაზე! მკითხველმა თავად გადაწყვიტოს, თუ ვის ინტერესებია ევროკავშირზე უარის თქმა!

–რუსეთის ინტერესებზე მეტი ვისთვის იქნება ეს საკითხი მნიშვნელოვანი?

–რასაკვირველია! არის კიდევ ჯგუფი საკითხებისა, რომელიც არის უბრალოდ შეცდომა. კერძოდ, არ შეიძლება კონსტიტუციაში ჩაიწეროს ფინანსური პარამეტრები ეს არის ეკონომიკური პოლიტიკის თემა და ეკონომიკური პოლიტიკა კი ცვალებადია. მაგალითად, ამბობენ, რომ ბიუჯეტის დეფიციტი არ უნდა იყოს 3 პროცენტზე მეტი, ვიდრე მთლიანი შიგა პროდუქტიაო. დიახ, ეს სწორია, მაგრამ ამის კანონში ჩაწერა არ შეიძლება, იმიტომ, რომ ცხოვრება ცვალებადია, დღეს მაგალითად, დეფიციტი ჩვენს ქვეყანაში არის 9% შიგა პროდუქტის, იმიტომ, რომ ვიღებთ დახმარებას როგორც რუსეთის აგრესიის მსხვერპლი ქვეყანა. თუ კონსტიტუციაში ჩავწერთ, რომ დეფიციტი 3% მეტი არ უნდა იყოს, მაშინ ის გამოვა, რომ ამ უცხოურ დახმარებაზე უნდა ვთქვათ უარი, ამიტომ ეკონომიკური მდგომარეობა ამ კრიზისის პერიოდში უფრო გაგვიუარესდება! 3% ეს არის რეკომენდაცია, რომ სტაბულური მაკროეკონომიკური გარემო იყოს ქვეყანაში, მაგრამ არის ვითარება, რომელშიც ჩვენ აღმოვჩნდით, რომ დეფიციტი გახდა 9%. ახლა ამ დახმარებაზე უარის თქმა არ შეიძლება!

ასეთი ჩანაწერების გაკეთება კონსტიტუციაში – არის შეცდომა! შეცდომების აპოთეოზი გახლავთ ის, რომ თურმე რეფერენდუმით უნდა გადაწყდეს ახალი გადასახადების შემოღების შესახებ, ან განაკვეთის ზრდის შესახებ. ჯერ ერთი, რომელი ადამიანი იქნება თანახმა, რომ გადასახადი გაიზარდოს? ასეთი რეფერენდუმის ჩატარებას აზრი არა აქვს, ამის პასუხი ხომ წინასწარ ვიცით! თუ პასუხი ვიცით, რაში გვჭირდება რეფერენდუმი? რეფერენდუმის ფუნქცია აქ უაზრობაა, ეს უნდა დარეგულირდეს კანონით, რომელსაც გადაწყვეტს პარლამენტი, მთავრობა კი შეიძლება იყოს მხოლოდ ინიციატორი.

–თუ რეფერენდუმი მაინც ჩატარეს ამ ახალი საგადასახადო სისტემის შეცვლის თაობაზე, მაშინ რა მოხდება?

– იცით, რა მოხდება? იელოველების წესს ხომ იცნობთ, როდესაც იღუპებიან, კვდებიან, მაგრამ უარს ამბობენ სისხლის გადასხმაზე – ჩვენს ეკონომიკასაც ასე მოუვა ანუ მოხდება საგადასახადო სისტემის „იელოვიზაცია“. ამით ჩვენს საგადასახადო და საბიუჯეტო სისტემაში, შეიძლება შეუქცევადი პროცესები გამოვიწვიოთ – ამიტომ, ესეც არის შეცდომა!

– აბა, როგორ ითქვამს ეს ყველაფერი, ბოლობოლო რას ნიშნავს „ეკონომიკური თავისუფლების ქარტია“?

– ხდება ვექტორის შეცვლა, ანუ არა ვეროკავშირი! ეს ძალიან უარყოფითი სიგნალია, ძირითად კი დღევანდელ პერიოდში მას სურს გადაფაროს მთავარი – ტალიანინის კომისიის დასკვნა! ყუარადდება სხვა რამეზე გადაიტანოს. მოხდა თემის „შემოდგება“ – რომელიც გახდა აქტუალური როგორც მასმედიისათვის, ისე ყველასათვის. ტალიანინის თემა კი გვერდზე დარჩა, პრაქტიკულად ეს მოახერხეს კიდევ. შემდეგ კვირაში შეიძლება ისევ სხვა თემა „შემოაგდონ“ და ასე შემდეგ, ეს მათი მეთოდია. პრეზიდენტი თავად რომ მოვიდა პარლამენტში და ეს აქტი თავად წარადგინა, ესეც ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი იყო, რათა მოხდეს რეალური მოვლენების გადაფარვა.

– ბატონო ლადო, ამ „ეკონომიკური თავისუფლების აქტის“ წარდგენის პირველივე დღეს, გამოვიდა ბენდუქიძე, და ძალიან მარტივად ახსნა, რომ ბიზნესმენებს მეტი წილი უნდა დაუთმოს ხელისუფლებამ და მათ შეღავათები ეკუთვნით ამ ეკონომიკური კრიზისის დროსო, თუ საქართველოს ეკონომიკის დიდი ნაწილი რუსეთს ეკუთვნის, თუ, როგორც თქვენ ამბობთ, ვეროინტეგრაციაზე უარს ვამბობთ, გამოდის, რომ ჩვენ რუსეთს ვუწყობთ ხელს ყველანაირად, კერძოდ, ტერიტორიები მივეცით, ეკონომიკა დავეთმეთ, რაღა დაგვრჩა მისაცემი? ან ვიცი სასარგებლოდ მუშაობს ხელისუფლება?

– ბატონი კახას ახსნას, თუ რას ნიშნავს ეს „ეკონომიკური თავისუფლების აქტი“ – პრეზიდენტის გამოსვლასთან არავითარი კავშირი არა აქვს. მეორეც, ჯერჯერობით ჩვენ ვნახეთ მხოლოდ პრეზიდენტის გამოსვლა. კონკრეტულად „აქტი“ – ჯერ არ არსებობს, ვნახოთ ის როგორი იქნება. პირველი შემთხვევაა, როცა ბენდუქიძის ნათქვამი შორს არის რეალობასთან? ისე რომ ვთქვათ, ამ საკითხში ხელისუფლებამ ბენდუქიძის გარდა თავის სასარგებლოდ კომენტატორი

ვერ იპოვა და იმიტომაც უთქვამს მას ასეთი არაადეკვატური რაღაც, ვინაიდან, ამჟამად აღარ არის მთავრობაში, თვლიან, რომ ის არის „ექსპერტი“! დანარჩენი ვინ გამოჰყავთ? მეწარმეები, რომელნიც “ყურებით” ჰყავთ დაჭერილი.

ჩვენი ეკონომიკის დიდი ნაწილი რომ რუსეთს ეკუთვნის – ეს ყველასთვის ცნობილია, როგორც ის, რომ რუსეთისკენ მიმავალი გზა ხშირად იკვეთება და არა მხოლოდ ამ აქტით! თუმცა, მე მაინც მგონია, რომ პრეზიდენტმა დღეს ეს აქტი „გაისროლა“ ტალიავინის კომისიის დასკვნის გადასაფარად.

ეთერ კასრელიშვილი